# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 26 მარტი 2005 №66 (2389) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფოტოფოკუსი: ალენს გაპქონდა, ოტოს გამოპქონდა

*თქვენს წინაშეა ფოტოფანტაზია, მონტაჟი, ლაღობა... თუ გნებავთ, იმედიც უწოდეთ. მეორე მხრივ, რატომაც არა?! ნურავინ შეგვახსენებს, თავადაც კარგად ვიცით, რომ საბერძნეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონია, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ის საბერძნეთია... ჩვენ კი საქართველო, რაც შიგადაშიგ რაღაცას მართლა ნიშნავს.*

*და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს დავთრიანი პატარა კაცი, ალენ ჟირესი რომ ჰქვია, ვინმეს თვალში მართლა ხომ არ ეპატარავება? გაგიკვირდებათ, ჟირესმა, ვინმეს, ვინც გინდა იყოს, ფეხბურთი რომ მოუგოს?*

*ჩვენ, არა.*



## ცარიელი ფრე



ხულიგნობა ცუდი იმიტომ არის, რომ დაგსჯიან და მერე ისეთ საძაგლობას მიიღებ, გუშინ ეროვნულზე რომ შედგა — უმაყურებლო ფეხბურთს ვგულისხმობთ. ქართველმა და ბერძენმა ახალგაზრდებმა კი ერთმანეთს თითო გოლი გაუტანეს და ტაშის გარეშე შეიძურწნენ გასახდელში.

# ბერძნული ფრე ფორთოხალივით გემრიელია



## დავით თავართქილაძე

**ეს ფრე** მოგების ტოლფასი არ ყოფილა, მაგრამ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ჯგუფში ზედიზედ ორი წაგების შემდეგ ქულა მოიპოვა, კარგად იბრძოლა და ქომაგი რომ დასწრებოდა თამაშს, სტადიონიდან უკმაყოფილო ნაღდად არ წავიდოდა — გოჩა ტყებუჩავას გუნდმა მინდორზე სული და გული დადო...

ჯგუფის წინა შეხვედრაში დანიასთან გულშემატკივარს რომ არ ეხულიგნა, დღეს დიდად შეეშველებოდა ნაკრებს და იქნებ სამ ქულასაც გამოვრჩენოდით — ერთი სიტყვით, შეცდომებზე მხოლოდ მწვრთნელ-ფეხბურთელებმა კი არა, ყველამ უნდა ისწავლოს.

...ჩაკეტილი თამაში გაჩაღდა და პირველი ხიფათი ქართველებმა შექმნეს — გოჩა ხოჯავამ მოხდენილად გადააწოდა სანდრო იაშვილს, ვინც მარჯვნიდან გაიჭრა და ბერძენთა კარის შორეულ ძელთან გაგზავნა ბურთი, იქ სანდრო გურულს უნდა ეყოჩაღა, მაგრამ კარში ვერ დაარტყა და ზაალ ელიავას დაუგორა ბურთი, მან კი მიზანი ვერ გაისწორა.

ამის მერე კი ბერძნებმა ჩართეს თავიანთი პროპელერები. ფლანგური ჯარიმიდან ირაკლი თოთლაძემ კინაღამ საკუთარ კარში გადაგზავნა ბურთი... სტანდარტული სიტუაციის შესრულებისას ყველაზე სახიფათონი ახმახი ფორვარდი გეორგიოს სამარასი და ასევე აშოლტილი საყრდენი ნახევარმცველი ალექსანდრის ციოლისი იყვნენ, მათი გამკვლავება ჩვენებს ერთობ უჭირდათ. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდისას სამარასმა ჩვენს საჯარიმო მოედანში ისე მოიგდო ბურთი, რომ მისი წამრთმევი არავინ აღმოჩნდა, ბოლოს ხოჯავამ მოიწადინა ეს და პენალტი — ბერძენთა კაპიტანმა ფანურიოს გუნდულაკისმა 11-მეტრიანი ტექნიკურად დაარტყა და 0:1.

ქართველთა დაცვა კიდევ უფრო აირ-დაირია, უხეშად ცდებოდა, ბერძნები კი ჯანის და დროული აჩქარებების ხარჯზე წნეხში აქცევდნენ მასპინძელ მცველებს.

სტუმრებს უპირატესობის გაზრდის ორი კარგი შანსი გაუცუდდათ — სამარასმა კარს ააცილა, ხოლო ხარილაოს პაპასს თოთლაძემ აუღო.

ჩვენებს ბურთის გაგორება უჭირდათ და არა მხოლოდ უხარისხო მინდვრის გამო — ბერძნები ძალიან კარგად ბოჭავდნენ მეტოქეს. ქართველები იაშვილისკენ მაღალი ბურთების გაგზავნითაც ცდილობდნენ რიგიანი შეტევის განხორციელებას. იაშვილმა რამდენიმე მაღალი ბურთი კი მოიგო, მაგრამ ამას ხეირი მაინც არ მოჰქონდა. ერთი-ორჯერ მარცხენაფლანგელმა ზაალ ელიავამ აიღო თამაში საკუთარ თავზე, რითაც თანაგუნდელებს რწმენა შესძინა, წასაგებად განწირულები სულაც არ ვართო.

რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით, აქეთ ბერძნების აგრესიული შეტევები იყო შესაჩერებელი, თან ვაგებდით და გოლის გატანა გვმართებდა. მსხნელად კონტრშეტევა გამოგვადგა — ჩვენებს თავისუფალი სივრცე შეექმნათ, ხოჯავამ მარჯვენა ფლანგზე მიიღო ბურთი და ჯარიმაც მოინადირა, რომლის შესრულებაც თავადვე იკისრა — ჩაწოდების ნაცვლად ხოჯავამ კარში დაარტყა და რიკოშეტის შემდეგ ბურთი ბადეში აღმოჩნდა — 1:1.

მაგრამ ანგარიშის გათანაბრებამ თამაშის ხასიათი ვერ შეცვალა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები საკმაოდ ბევრჯერ გადარჩა: საშინელი შეცდომა დაცვაში და თოთლაძემ სანწაული ბურთი აუღო ფორვარდ ხრისტოს ბურმპოსს, მომდევნო ეპიზოდში თოთლაძე გამოსვლაზე შეცდა, მაგრამ ბერძენთა მცველმა გრიგორიოს პაპაზაქარიასმა ცარიელ კარს ვერ დაუმიზნა ბურთი, შემდეგ სამარასმაც ვერ იხეირა.

მოკლედ, საჯარიმოდან თუ საჯარიმოს მისადგომებიდან ჩვენს ოცდაერთწლამდელებს ბურთის გამოტანა ძალიან უჭირდათ, რამდენჯერმე იაშვილმა თავით კარგად გადაისროლა ბურთი სახიფათო ზონიდან, დაცვა ყანყალებდა, მაგრამ ბრძოლისუნარიანობა და შეუპოვრობა ძალიან დიდი იყო.

შესვენების შემდეგ ტყებუჩავას გუნდი უკეთ ათამაშდა — იაშვილის პასით გურულს შეეძლო გატანა, მაგრამ მცველებმა დაუფარეს, მარჯვენა ფლანგზე კი ცაცია ხოჯავა გააქტიურდა, ის იყო შეტევათა სულისჩამდგმელი და ბურთის დამჭერი.

თამაში გაიხსნა და გამწვავდა. ბერძნები ახლა უფრო კონტრშეტევებით იქაჩებოდნენ, მაგრამ ჩვენებურთა ერთი-ორი შეცდომა ვერ გამოიყენეს.

ხოჯავას დარად მარცხენა ფლანგზე რევაზ გეწაძეც გააქტიურდა, უკვე თანაბარი თამაში გაჩაღდა, რაშიც ქართველ ახალგაზრდებს უნდა ეხეირათ — 77-ე წუთზე შოთა კაშიამ ნაკუთხურალი ბურთი გაგზავნა კარისკენ, მაგრამ ბერძენთა მეკარემ იყოჩაღა, რამდენიმე წამში კი კვლავ არეულობა შეიქმნა სტუმართა საჯარიმოში და კარისკენ მიმავალი ბურთი ერთ-ერთმა მცველმა კუთხურზე მოიგერია.

მატჩის მიწურულს ბერძენთა უკეთესმა ფიზიკურმა მომზადებამ იჩინა თავი. თანაც იაშვილი დაშავდა, კოჭლობდა, მაგრამ ტყებუჩავას ყველა შეცვლა უკვე გახარჯული ჰქონდა.

მინდორზე სისხლიც დაიღვარა — დავით ჭილლაძესთან ორთაბრძოლაში ფილიპოს დარლასს ცხვირი გაუტყდა და მოედნიდან გასაყვანი შეიქნა. შეცვლები ბერძნებსაც ამოეწურათ, მაგრამ კაცნაკლულებმა გარისკეს და მოსაგებად გაიქაჩნენ, ქართველები თითქოს მარწუხშიც მოიქციეს, თუმც ჩვენებმა ბოლომდე ვაჟკაცურად გაძლეს.



სანდრო იაშვილმა ბერძენ მცველებს თავი აატკივა

## ბლოხინი დატოვეს

უკრაინის სააპელაციო სასამართლომ ოლეგ ბლოხინი ქვეყნის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე დატოვა.

შეგახსენებთ, რომ ბლოხინი პოსტიდან სულ ცოტა ხნის წინ გადადგა. მიზეზი: ყოფილმა ვარსკვლავმა მწვრთნელობას და ქვეყნის უმაღლესი რადას დეპუტატობას შორის მეორე ამჯობინა, თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას ამიერიდან ორივე საქმის გაძღოლის ნებართვა აქვს.

„მადლობა სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც ჩემი საქმე მიუკერძოებლად განიხილა“ — თქვა ბლოხინმა.

თბილისი. 25 მარტი. 16 საათი. ეროვნული

### საქართველო U21 1:1 საბერძნეთი U21

0:1 გუნდულაკისი (63), 1:1 ხოჯავა (29)

**საქართველო:** თოთლაძე, ჭილლაძე, ლვინიანიძე, ჩიკვილაძე, ლომიძე, კანკავა, ბესარაშვილი, ელიავა (გეწაძე 44), გურული (გ. ნოდ. ჭელიძე 58), ხოჯავა (კაშია 77), ს. იაშვილი
*სათადარიგონი:* ბობლიაშვილი; მიქიაშვილი, გ. ნუგ. ჭელიძე, მარცვალაძე
**მწვრთნელი:** გოჩა ტყებუჩავა

**საბერძნეთი:** სიფიკასი, პაპაზაქარიასი, პიპინასი (დარლასი 80), პაპადოპულოსი, ციოლისი (კირიაკისი 54), პაპასი (პლიაგკასი 64), გუნდულაკისი, სამარასი, ბურმპოსი, ლაგოსი
*სათადარიგონი:* ანდრიოლასი; ლეონტიო, ფიტანიდისი, პეტკაკისი
**მწვრთნელი:** სტილიანოს აპოსპორისი

**გაფრთხილება:** პიპინასი (28), კანკავა (49), ხოჯავა (54), ლომიძე (70), პაპადოპულოსი (90)

**მსაჯები:** ჩარლზ რიჩმონდი; ჯეიმს ლიონი, ჯეიმს ბი; ბრაიან ვინტერი (ყველა შოტლანდია)

**უეფას დელეგატი:** ფერნანდეს ლოპესი



*სტილიანოს აპოსპორისი:* მატჩი კარგად დავიწყეთ, დავწინაურდით და ანგარიშის გაზრდის რამდენიმე კარგი შანსიც გვქონდა. გაშვებულმა გოლმა ნირი წაგვიხდინა, თუმც საგოლე მომენტები კიდევ შევქმენით. მატჩის მიწურულს გავრისკეთ, მაგრამ მაინც ვერ მოვიგეთ.

— მეტოქეთაგან გამოვარჩევდი ხოჯავას, გურულს და ჩიკვილაძეს.

*გოჩა ტყებუჩავა:* საჭირო ქულა ავიღეთ და მოხარული ვარ. საბერძნეთი მართლაც კარგი გუნდია. ისეთი თამაში იყო, შეგვეძლო მოგვეგო და წაგვეგო კიდეც. ფეხბურთელების გამოყოფა არ მიყვარს, მაგრამ ხოჯავა და იაშვილი მაინც უნდა გამოვარჩიო.

— სამწუხაროა, რომ გაფრთხილებების გამო თურქეთთან ველარ ითამაშებს კანკავა.

— დღეს მეტწილად ლეგიონერები ვათამაშეთ, რადგან ჩავთვალეთ, რომ ისინი ფიზიკურად უკეთ იქნებოდნენ მომზადებულნი, ვიდრე საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშენი.

— მცველთა შეუთანხმებელ თამაშს იმით ავხსნიდი, რომ მათ ასეთ დონეზე პირველი მატჩი ითამაშეს, თუმცა მატჩის მსვლელობისას ხარვეზები ნელ-ნელა გამოასწორეს.

— რაც შეეხება თოთლაძეს, ის ნერვიულობდა და შეცდომებიც უფრო ამის ბრალი იყო. ამ მომენტისთვის ჩვენ უკეთესი მეკარე არ გვყავს.



**დანია 5:1 ყაზახეთი**
**თურქეთი 4:0 ალბანეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 6 | 5 | 1 | 0 | 16:7 | 16 |
| თურქეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:3 | 11 |
| უკრაინა | 6 | 3 | 1 | 2 | 11:5 | 10 |
| საბერძნეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:5 | 8 |
| ალბანეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 | 5 |
| საქართველო | 5 | 1 | 2 | 2 | 5:12 | 5 |
| ყაზახეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:8 | 0 |



# გლდანში მეფემ ჩამოიარა

**გუშინ**, როცა საბერძნეთის და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებები ერთმანეთს ებრძოდნენ, ოტო რეჰაგელის ბერძნები სადღეისო ბრძოლისთვის ემზადებოდნენ.

ბერძენთა მასპინძელი ფკ ამერის სკოლის სტადიონი იყო. მართალია, ვარჯიშს დახურული ერქვა და მოედნის გარშემო დაცვაც ჩამწკრივებულიყო, მაგრამ ყველგანგამძრომ გლდანელ ბიჭუნებს რა დააკავებდა. ღობის გაღმა მდგომები, საშინელი ქარ-ყინვის მიუხედავად, ფეხს არ იცვლიდნენ და რომელიმე ბერძენი ფეხბურთელი ბურთს კარს რომ ააცილებდა, დიდ მხიარულებაში იყვნენ.

თავად ვარჯიშზე კი სათქმელიც არაფერია — ჩვეულებრივი ვარჯიში იყო, რომლის დასასრულსაც ბერძენმა ფეხბურთელმა ბურთს ისე ამოსცხო, სტადიონს გადააცილა და მოთვალთვალე ბიჭებიდან ერთი შინ ძვირფასი ნადავლით დაბრუნდებოდა, დაცვის სამსახურ „დარაკას“ და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს ერთობლივი გარჯით ბურთი ბერძნებისთვის რომ არ დაებრუნებინათ. სამაგიეროდ, ფეხბურთელებმა ბავშვებს ქუდები აჩუქეს.

ოტო რეჰაგელმა კი, მთელი ვარჯიშის განმავლობაში ჯმუხად რომ უყურებდა თავისი ფეხბურთელების შრომას, ნავარჯიშევს ღობესთან მიირბინა და ბავშვებს ხელისჩამორთმევით მიესალმა.

და ერთიც — ტრადიციასავით ჩამოყალიბდა, რომ საქართველოს ნაკრების მეტოქეები „ამერის“ სტადიონზე ვარჯიშობენ. ბერძნებამდე იქ დანიის ნაკრებმა ივარჯიშა და თბილისიდან ოდენ ქულით წავიდა, იქნებ ამჯერად სტუმრებს სამივე ქულა წავგვაროთ.

# ძველი ოტო-ფოტო



სანდრო კოტორაშვილის ამ ფოტომ შემოგვინახა ოტო რეჰაგელის პირველი ჩამოსვლა თბილისში 18 წლის წინათ, ზამთარში. მაშინ თბილისის „დინამომ“ ითამაშა თავისი ბოლო მართლა მაგარი თამაში ევროპულ ტურნირებზე, როგორც საბჭოთა გუნდმა, თუმცა, შემდეგ წრეში მაინც ბრემენის „ვერდერი“ გავიდა, ოტომ კი ძალიან ბევრი ინერვიულა, განსაკუთრებით თენგიზ სულაქველიძის გოლის შემდეგ.

რეჰაგელი დღესაც ასეთია: მწვრთნელის ბაქანზე ბევრს მოძრაობს და მისი ღრიალიც მშვენივრად ისმის სტადიონის გუგუნის მიუხედავად.

რამდენს იყვირებს ოტო? და საერთოდ, როგორ ხასიათზე წავა თბილისიდან? საინტერესო, აი, ეს არის.

# მარტი ოხერია

## თუ გამეორებაა, სომხეთი გავიმეოროთ

**საქართველოს** ნაკრებს მარტში ოფიციალური მატჩი არ მოუგია, მეტიც, ერთი გამონაკლისის გარდა, ყველა წაუგია. პირველ სამარტო თამაშს კი, აბა, რა დაგვავიწყებს — გერმანიის ზემძლავრი ნაკრების სტუმრობას ხომ ქართველი გულშემატკივრების დიდი აჟიოტაჟი უძღოდა წინ. მაშინ იყო, სტადიონზე 100 ათასმა კაცმა რომ მოიყარა თავი და იურგენ კლინსმანმა პირველივე ტაიმში რომ წაგვიმურდლა იმედები.

ბოლო სამარტო შეხვედრაც ცუდად მოსაგონარია: ირლანდიელებმა ბოლო წუთებზე გატანილი გოლით მოგვიგეს, მანამდე კი ლევან კობიაშვილის საჯარიმოდან შეგდებული და ვილაც ვაი-ქომაგის ნასროლი დანა დაგვამახსოვრდა, კევინ კილბეინს კინაღამ სიცოცხლე რომ მოუსწრაფა.

რალაცნაირად დანავსული თვეა ეს მარტი — რუმინეთთან თამაშის გავიხსენოთ, ჩვენი მოგება და კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ბილეთების შეკვეთა ერთი იქნებოდა, მაგრამ გულისამრევად წავაგეთ. რატომღაც ისე ხდებოდა, რომ ფინალურ ეტაპზე მოხვედრის იმედი სწორედ გაზაფხულის პირველ თვეს გვერთმეოდა, მაგრამ როგორც ამქვეყნად ყველაფერს, ამ დაწყევლილ სერიასაც ხომ უნდა ჰქონდეს დასასრული.... აი, მაგალითად, 30 მარტს თურქეთს ვმასპინძლობთ, რვა წლის წინ, 30 მარტს კი საქართველომ მისთვის სარეკორდო 7:0-ით მოიგო... მიანგრია მეზობელი სომხები. თუ გამეორებაა, რალა წაგებები გავიმეოროთ...

**ილია ნანოგაშვილი**

**საქართველოს ეროვნული ნაკრები მარტში**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1995 | 29 მარტი | ეჩ | შ | გერმანია | 0:2 | კლინსმანი (2) |
| 1996 | 27 მარტი | ამ | ს | კვიპროსი | 2:0 | ქეცბაია, ჯამარაული |
| 1997 | 30 მარტი | ამ | შ | სომხეთი | 7:0 | შ. არველაძე (3), ა. არველაძე (2), ქინქლაძე, ყაველაშვილი |
| 1999 | 20 მარტი | ამ | შ | უკრაინა | 0:1 | კონოვალოვი |
| 1999 | 27 მარტი | ეჩ | შ | სლოვენია | 1:1 | ზ. ჯანაშია; ზაჰოვიჩი |
| 2000 | 28 მარტი | ამ | ს | ისრაელი | 1:1 | ქინქლაძე; ბერკოვიჩი |
| 2001 | 28 მარტი | მჩ | შ | რუმინეთი | 0:2 | მუნტეანუ, კონტრა |
| 2002 | 27 მარტი | ამ | შ | სამხ. აფრიკა | 4:1 | დემეტრაძე (2), კობიაშვილი, ალექსიძე; ბაკლი |
| 2003 | 29 მარტი | ეჩ | შ | ირლანდია | 1:2 | კობიაშვილი; დაფი, დოჰერტი |

9 მატჩი, 3 მოგება, 2 ფრე, 4 წაგება 16:10

# საალბათო სათუმცავი

**რას ნიშნავს** ჩვენთვის საბერძნეთთან და თურქეთთან ალებული ექვსი ქულა? კითხვამ, რომელიც ახლა მთელ საფეხბურთო საქართველოს აწუხებს, ბუნებრივია, ჩვენც დაგვაინტერესა და... რამდენიმე ისეთი ვარიანტი განვიხილეთ, რომლის ალბათობაც არცთუ ისე მცირეა.

მოკლედ, ხეზე სამჯერ ვაკაკუნებთ და ვიწყებთ...

დღევანდელ ტურში ერთმანეთს ხვდებიან: საქართველო — საბერძნეთი, თურქეთი — ალბანეთი და დანია — ყაზახეთი

თავიდანვე ვთანხმდებით იმაზე, რომ საქართველო საბერძნეთს უგებს (ამ წერილის არსიც ხომ ეს არის). მომდევნო ორ წყვილში კი გამარჯვებულების გამოვლენას დიდი გულთმისნობა არ სჭირდება: თურქეთი ალბანეთს უგებს, დანია კი ყაზახეთს.

ანუ დღევანდელი მატჩების დასრულების შემდეგ ცხრილში ასეთი ამბებია:

| | | |
|---|---|---|
| უკრაინა | 6 თამაში, | 14 ქულა |
| თურქეთი | 6 | 9 |
| დანია | 6 | 9 |
| საქართველო | 5 | 8 |
| საბერძნეთი | 6 | 8 |
| ალბანეთი | 6 | 6 |
| ყაზახეთი | 5 | 0 |

ერთი სიტყვით, პოტენციურად (მაჩანჩალა ყაზახეთთან გვაქვს სათამაშო) უკვე მეორე ადგილზე ვართ. რა იქნება მერე? ამაზე ქვემოთ შემოთავაზებული რამდენიმე ვარიანტი გვიპასუხებს და აქვე გეტყვით, რომ ჩვენი ვარაუდი უფრო მტკიცე რომ გახდეს, წინასწარვე ვამბობთ: საბერძნეთში და დანიაში ქულასაც ვერ ვილებთ. არ იფიქროთ, ამ ორ თამაშს მთლად ასე პესიმისტურად ვუყურებდეთ. უბრალოდ, გვინდა, საქართველოს ნაკრების შანსი ამ უარეს შემთხვევაშიც დავითვალოთ.

მეტ-ნაკლებად მოსალოდნელი ვარიანტები კი ასეთია:

**მერვე ტური**

30 მარტი

| | |
|---|---|
| უკრაინა — დანია | X2 |
| საქართველო — თურქეთი | 1 |
| საბერძნეთი — ალბანეთი | 1 |

**მეცხრე ტური**

4 ივნისი

| | |
|---|---|
| უკრაინა — ყაზახეთი | 1 |
| ალბანეთი — საქართველო | 2 |
| თურქეთი — საბერძნეთი | 1X |

**მეათე ტური**

8 ივნისი

| | |
|---|---|
| ყაზახეთი — თურქეთი | 2 |
| დანია — ალბანეთი | 1 |
| საბერძნეთი — უკრაინა | 1 |

9 აგვისტო

| | |
|---|---|
| ყაზახეთი — საქართველო | 2 |

**მეთერთმეტე ტური**

3 სექტემბერი

| | |
|---|---|
| ალბანეთი — ყაზახეთი | 1 |
| თურქეთი — დანია | X2 |
| საქართველო — უკრაინა | 1 |

**მეთორმეტე ტური**

7 სექტემბერი

| | |
|---|---|
| ყაზახეთი — საბერძნეთი | 2 |
| დანია — საქართველო | 1 |
| უკრაინა — თურქეთი | X |

**მეცამეტე ტური**

8 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| საქართველო — ყაზახეთი | 1 |
| დანია — საბერძნეთი | 1X |
| უკრაინა — ალბანეთი | 1 |

**მეთოთხმეტე ტური**

12 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| ყაზახეთი — დანია | 2 |
| საბერძნეთი — საქართველო | 1 |
| ალბანეთი — თურქეთი | 2 |

ბუნებრივია, თავს ვერ დავდებთ, რომ ყველა წყვილის შედეგი იდეალურად გამოვიცანოთ, მაგრამ იმედია, გვაპატიებთ, თანაც ეს ხომ მხოლოდ ვარაუდია...

მოკლედ, ამ „თავის მართლების“ მერე ბარემ „საბოლოო“ ცხრილსაც შემოგთავაზებთ: დანია, ჩვენი ვარაუდით, აგროვებს 23-27 ქულას, საქართველო 23 ქულას, საბერძნეთი — 20-22, უკრაინა — 20-21, თურქეთი — 18-20, ალბანეთი — 9, ყაზახეთი — 0.

როგორია?!

**კახა შალამბერიძე**



**ვიყიდი**

თბილისის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოს“, ბათუმის „დინამოს“ საფეხბურთო პროგრამებს (1936-1973) და საერთაშორისო მატჩების ბილეთებსა და აფიშებს (1972-1987)

ტელ: 8 99 241266

## geo_geo_fan@hotmail.com

*რამდენიმე საათიც და...*

*თუ დღევანდელ ღამეს ახალგაზრდა გულშემატკივრები მოხუც ბებიებს თავისი ღრიალით არ დააძინებენ, საპატრულო პოლიციის გამოძახება საჭირო არ იქნება, მაგრამ თუ ხალხი უხმოდ დატოვებს „მიხეილ მესხს"... ღმერთმა არ ქნას!*

*დღევანდელ ფოსტაში ისეთი წერილები გვაქვს, წინასამატჩო განწყობა რომ უნდა აუმაღლონ ფეხბურთელებსაც და გულშემატკივრებსაც. ამ წერილებს რაიმე განსაკუთრებული კომენტარები არც სჭირდება...*

RAMZES1967: *ნეტავ თუ იციან, რა ქვეყანაში ჩამოვიდნენ სათამაშოდ? ბერძნებს უნდა აფიქრებდეთ (ან აშინებდეთ) ქართველების სპორტულობა. ბოლოს და ბოლოს, ორი ოლიმპიური ჩემპიონი ვაჩუქეთ მაგათ. საკმარისია, დროა ჩვენი მივიღოთ!*

*მგონი, დემეტრაძის დღე იქნება. ისეთი სტილის მოთამაშე, როგორიც „დემეა", გვარიანად აუშლის ნერვებს ბერძნებს. მაგათ დისციპლინირებულ სირბილს „დემეს" უდისციპლინო ფინტებმა უნდა მოუღოს ბოლო.*

IRAKLY: *მახსოვს, უკრაინასთან თამაშის წინ დარწმუნებული ვიყავი ჩვენს მარცხში და, სამწუხაროდ, ასეც მოხდა. თუმცა მას მერე ჩვენს საფეხბურთო ცხოვრებაში ძირეული ცვლილება არ მომხდარა. დღეს იმედით ვცოცხლობთ ყველა და მათ შორის მეც. ჩვენი ქვეყნის დროშას ნავილებ სტადიონზე და მასში გახვეული ვუგულშემატკივრებ ჩვენს გუნდს. ერთი უნდა ითქვას, არ მიწყინოს ჩვენი ნაკრების თავკაცმა, მაგრამ მწვრთნელი რეჰაგელი სჯობს მწვრთნელ ჟირესს, მაგრამ არა მგონია, საბერძნეთის ნაკრებში მოიძებნოს მალხაზ ასათიანის დარი ფეხბურთელები. აი რატომ უნდა გავიმარჯვოთ!*

*P.S. წუხელ რაღაც ბედად მესიზმრა ტრაიანოს დელასი. სასაცილოა და, ეს ახმახი ბერძენი მცველი ილიმებოდა ყურებამდე ბაგეგახსნილი. იმედია, ცხადში მთელი საფეხბურთო საბერძნეთი მწუხარე სახის იქნება 26 მარტის შემდეგ.*

BELLUKA01: *გამარჯობათ, სარბიელელებო!*

*იცით, მე რისი თქმა მინდა? უკვე სამი დღეა, წესიერად არ მძინებია. რასაც უნდა ვაკეთებდე, მაინც ამ მატჩზე ვფიქრობ, გულში კი მუდმივად საქართველოს ჰიმნს ვმღერი. მე მინდა, რომ ყველას დავუმტკიცოთ ჩვენი სიძლიერე და ის, რომ ჯერ კიდევ გვიცემს გული ქართველებს. გაუმარჯოს საქართველოს ნაკრებს და მინდა, რომ ყველამ ერთად ვიყვიროთ: საქართველო!!!*

*ბიჭებო, ჩვენ ყველა თქვენ გვერდით ვართ!*

არ გვგონია, ამ წერილებს კომენტარები სჭირდებოდეს. მხოლოდ ერთს დავძენთ: ხვალიდან თამაშის თქვენეული შეფასებები გამოგვიგზავნეთ, იქამდე კი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო!!!

geo_geo_fan@hotmail.com

## თვალთვალი



*დღეს ჩვენ ეს გვჭირდება!*

*ბევრი დროშა, ბევრი ღრიალი, ბევრი სიხარული და...*

*ბევრი გოლი ბერძნების კარში!!!*

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

### ჩვენი მეტოქეები

# თურქეთი შუაში სახიფათოა

**თურქეთის** ნაკრები დღეს ალბანეთს სტამბოლში მასპინძლობს. ეს მატჩი მასპინძელთა მწვრთნელ ერსუნ იანალისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. ოსმალოები ამ შეხვედრას თუ მოიგებენ, ეგებ იანალს ბევრი რამ აპატიონ, მაგრამ თუ ვერ იმარჯვეს, მაშინ აქანდაზზე შეაგდებენ.

ერსუნ ბეის მწვრთნელობა თურქეთში ძალიან ბევრს არ მოსწონს და არ სჯერათ, რომ მის ხელქვეით მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე მოხვდებიან. თურქებს გამარჯვება სჭირდებათ და ამიტომ შეუტევენ კიდეც ბრიგელის ნაკრებს.

ოსმალოთა დაცვაში დღეს, სავარაუდოდ, დოლგა სეიჰანი, იბრაჰიმ ტორამანი და კორაი ავჯი ჩადგებიან. ამ ფეხბურთელების გვარსახელები ევროდონეზე არ ჟღერს, სამაგიეროდ, ნახევარდაცვაა სახელოვანი — ილდირაი ბაშთურქი, ემრე ბელოზოღლუ და ჰამიტ ალტინტოპი. ამ სამეულს ფლანგებზე სერკანი და უმით ოზათი შეეშველებიან. შეტევას კი ფათიჰ თექე და ნეჯათ ათეში იკისრებენ.



ერსუნ იანალის (მარცხნივ) მთავარ მწვრთნელად დანიშვნას თურქები დღემდე მწარედ იხსენებენ

სტამბოლში თამაში ნებისმიერი ნაკრებისთვის რთულია და ალბანეთსაც ძალიან გაუჭირდება. თურქებმა ეს მატჩი თუ მოიგეს, თბილისში კუდაბზეკილები ჩამოვლენ.

**რომან თურქია**

# არ ვიცნობ, მაგრამ არ მეშინია

## ვინ დადებს თავს სისულელეზე?



დანიელთა მთავარი იმედი იონ დალ ტომასონია

**დანიას** შესარჩევის 5 მატჩში ოდენ 6 ქულა აქვს, თუმც დღეს უკვე 9 ექნება. აბა, ვის სჯერა, რომ „დინამიტები" წყალწაღებულ ყაზახეთთან კოპენჰაგენში ქულებს დაკარგავენ?!

მორტენ ოლსენის გუნდი 30 მარტს ჯგუფის ლიდერ უკრაინას სტუმრობს და, ცხადია, დღეს ძალებს დაზოგავს.

ყაზახთა თავკაცმა სერგეი ტიმოფეევმა თქვა, სწრაფ ფეხბურთელებზე გავაკეთებ აქცენტს, რადგან დანიასთან კონტრშეტევების გარდა არაფერი დაგვრჩენიაო.

დანიელებს დაუბრუნდათ ტრავმირებული მცველები — ვეტერანი ტომას ჰელვეგი და მარტინ ლაურსენი, თურქებთან გაძევების გამო ორი მატჩი გამოტოვა და ხვალ ყაზახებს შეუტევს მარჯვენა გარემარბი იესპერ გრონკიაერიც, თუმც მორტენ ოლსენი დღეს დისკვალიფიცირებულ ტომას გრავესენს მოისაკლისებს — მადრიდის „რეალის" საყრდენი ნახევარმცველი უკრაინასთან ითამაშებს.

სკანდინაველებს გერმანული „ბოხუმის" ფორვარდი პეტერ მადსენი კუჭის ტკივილის გამო გამოაკლდათ და მის ნაცვლად ოლსენმა 32 წლის პეტერ მიოლერი გამოიძახა. „დინამიტების" მთავარი იმედი კი, ცხადია, მილანელი იონ დალ ტომასონია, რომელსაც ფლანგებიდან გრონკიაერი და იორგენსენი მიეხმარებიან. დანიელთა საერთო განწყობა ასეთია: „მეტოქეს არ ვიცნობთ, მაგრამ არც გვეშინია მისი".

ოლსენი კი ფრთხილადაა — წვენი ჯგუფი ისეთია, ვინ ვისთან დაკარგავს ქულებს, ვერ გაიგებო.

დანია კვლავ 4-4-2 სისტემით ითამაშებს და, ალბათ, ასეთი ძირითადი თერთმეტეულით გავა კოპენჰაგენის „პარკენზე".

*სორენსენი; პრისკე, ჰელვეგი, ლაურსენი, ნ. იენსენი; დ. იენსენი, კ. იენსენი, პოულსენი, გრონკიაერი; იორგენსენი, ტომასონი.*

**ილია ნანობაშვილი**

# ბრაზილიელი ზესტაფონში?

**„ზესტაფონი"** ნელ-ნელა უახლოვდება უცხოურ ტრანსფერს. როგორც შევიტყვეთ, ფეროელები მოლაპარაკებებში ჩაბმულან და დიდი შანსია, გუნდში მოლდოვური „შერიფის" ბრაზილიელი ლეგიონერი ჩამოიყვანონ. გვარი არ სახელდება, ისე კი, „შერიფში" 25 წლის ფორვარდი ნორბერგო დე ლიმა გახლავთ ბრაზილიელი.

თუმც ეს ფეხბურთელი არ ყოფილა „ზესტაფონის" სამიზნე — ლაპარაკია „შერიფის" სხვა ბრაზილიელზე, რომელიც გუნდის ოფიციალურ განაცხადში არაა, თუმც ახლახან შეკრებაზე ტირასპოლელებთან ერთად იყო.

შეგახსენებთ, „ზესტაფონში" სხვა სავარაუდო ახალწვეულებიც ვარჯიშობენ — გია იმედაძე და მურთაზ ბურნაძე, მაგრამ იმერლებს მათთან კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებიათ.

**ილია ნანობაშვილი**



ნორბერგო დე ლიმა ზესტაფონელი არ ყოფილა



ანდრეი შევჩენკო ფსიქოთერაპევტთან გაუშვეს

# ბრეშასთან ნიღბით
## შევჩენკოს სურათი აშინებს

უკრაინელი ანდრეი შევჩენკო ფსიქოთერაპიის კურსს გაივლის, რაც მძიმე ტრავმის შემდეგ სასურველი ფორმის აღდგენაში დაეხმარებაო — ასეთი ცნობა გაავრცელეს გუშინ იტალიურ პრესა-ტელევიზიაში.

შეგახსენებთ, რომ „მილანის“ სუპერფორვარდი ფორვარდი 19 თებერვალს, „კალიარისთან“ შეხვედრაში დაშავდა — სიმონე ლორიასთან შეჯახებისას ყბის მარცხენა ნაწილი გაუტყდა. მატჩიდან ორ დღეში მას ოპერაცია გაუკეთეს და გატეხილი ძვალი გაუმთელეს, მაგრამ ექიმებმა ფსიქოთერაპევტის ჩარევა აუცილებლად მიიჩნიეს.

მსგავსი ტრავმის მოშუშებას ზოგადად ორი კვირა სჭირდება და „მილანიც“ ვარაუდობდა, რომ გუნდის წამყვანი ფორვარდი 20 მარტს „რომასთან“ ითამაშებდა, თუმც შევჩენკომ თავად იუარა მინდორზე გასვლა, ფსიქოლოგიურად მზად არ ვარო.

„მე მომხდარის დავიწყება მჭირდება, პრობლემა კი ჩემშია. როცა იმ შეჯახების სურათს ვხედავ, ტანში მზარავს“ — თქვა უკრაინელმა მეგოლემ.

თერაპიული სეანსის დროს პაციენტმა აუცილებლად ფოტოს უნდა უყუროს, საგანგებო აპარატი კი მისი ორგანიზმის მდგომარეობას აჩვენებს. ექსპერტების აზრით, თუ ანდრეიმ ფსიქოლოგიური ბარიერი ისევ ვერ გადალახა, მას ჩვეული ფორმის აღდგენა ძალიან გაუჭირდება.

გადაწყვეტილი ამბავია — ანდრეი შევჩენკო დანიასთან 30 მარტის სანაკრებო მატჩს გამოტოვებს, მაგრამ კიევში მაინც იქნება და გუნდს უქომაგებს.

„მილანის“ შემადგენლობაში კი სავარაუდოდ, 3 აპრილს გამოჩნდება, როცა „შავ-წითლები“ „სან სიროზე“ სერია A-ს ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბრეშას“ დაუხვდებიან. გუნდის ექიმმა, ჟან-პიერ მირსიმანმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, ანდრეი შევჩენკო სახის სპეციალური დამცავი ნიღბით ითამაშებსო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# შავი კუბო და სამართებელი
## გი რუმ ფრისკს დასცინა

მხცოვანმა მწვრთნელმა გი რუმ ინტერვიუში შვედ მსაჯ ანდერს ფრისკზე ისეთები თქვა, რომ საფრანგეთის პროფლიგის მსაჯთა პრეზიდენტ ბერნარ სოლეს წყრომა დაიმსახურა.

„მსაჯებისგან განსხვავებით, მწვრთნელები მუქარის შემდეგ საქმეს არ გაურბიან — განაცხადა „ოსერის“ თავკაცმა — მოკვლითაც არაერთხელ დამმუქრებიან, სამართებელი და შავი კუბოც კი მიმიღია ფოსტით. სამწუხაროა, რაც ანდერს ფრისკს დაემართა, მაგრამ ის, რაც მოხდა, ჩვენი სამუშაოს ნაწილია. ამის გამო წასვლა ნამდვილად არ ღირდა“.

ბერნარ სოლე კი ამბობს: „გი რუსთვის სათქმელად ადვილია. თუ ასეა, აიღოს სასტვენი და თვითონ უკეთესად იმსაჯოს. ვფიქრობდი, „ოსერის“ მწვრთნელი მომხდარით აღშფოთდებოდა და პრობლემის გადაჭრის გზებს შემოგვთავაზებდა, მაგრამ ის, რაც მან განაცხადა — დაცინვაა და მეტი არაფერი“.

**ვაჟა ხუციშვილი**




მხცოვანი გი რუ საფრანგეთის პროფლიგის თავმჯდომარემ გამოლანძღა

# თავი დაანებეთ უეინს!
## ფერდინანდმა ერს შმაგად შეუტია




რიო ფერდინანდი

ამ დღეებში „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველმა რიო ფერდინანდმა თავის ნორჩ ძმაკაცზე უეინ რუნიზე ისაუბრა და თქვა, რომ ერი მისგან ძალიან ბევრს ითხოვს.

ფერდინანდმა მოკლედ მოჭრა: „ამხელა ტვირთი ამ ასაკში არავის ჰქონია. ხალხი ზედმეტს ელის მისგან“.

გეცოდინებათ, ორიოდ დღის წინ, უეინ რუნი პოლიციამ დაკითხა ბარში მომხდარი გაწევ-გამოწევის გამო, დაკითხვიდან კი ის პირდაპირ სანაკრებო შეკრებაზე გაემგზავრა.

ფერდინანდი სწორედ რუნისთან ერთად იყო იმ ბარში და ფიქრობს, რომ ბიჭს მხარდაჭერა ახლა სჭირდება.

„არც ბექემს და არც ოუენს ამგვარი ყურადღება არ ღირსებიათ — განაგრძობს რიო — თვით გაზაც (პოლ გესქოინი) კი, 19 წლისა არ იყო ასეთი დაწოლის ქვეშ. რომ დავფიქრდები, ვიტყვი-ხოლმე, ეშმაკმაც წამიღოს, მე ამას ვერ გავუძლებდი, თანაც, მე ხომ შვიდი წლით უფროსი ვარ რუნიზე. ის კი ახერხებს. 19 წლის ბიჭის პირობაზე ეს ძალიან ბევრია. შეცდომებსაც უშვებს, მაგრამ ეს ლოგიკური შეცდომებია. არ მინდა იმაზე ველაპარაკო, რაც ბარში მოხდა. უეინი იქ წრფელი და მართალი იყო. მას უბრალოდ, ფეხბურთის თამაში უნდა, მეტი არაფერი. ეს რომ დააცალონ, უკეთესი იქნება. ბურთზე ხისტად წასვლა იცის და პირველივე ჯარიმაზე აფრთხილებენ. მხოლოდ იმიტომ, რომ უეინ რუნი ჰქვია.“

**ირაკლი გამყრელიძე**

# კუმანს იწვევენ



რონალდ კუმანი ზაფხულამდე დაისვენებს, მერე კი იფიქრებს

„პორტსმუთის“ თავმჯდომარემ, მილან მანდარიჩმა „ფრეტონ პარკზე“ მიიპატიჟა ცოტა ხნის წინ ამსტერდამის „აიაქსიდან“ საკუთარი ნებით წასული რონალდ კუმანი.

მანდარიჩი ახალი სეზონისთვის ახალი მენეჯერის შერჩევას იწყებს და წარსულში ჰოლანდიის ნაკრების დიდი ვარსკვლავი და „აიაქსის“ ყოფილი მწვრთნელი ერთ-ერთი სასურველი კანდიდატი ყოფილა.

მოგეხსენებათ, „პორტსმუთის“ ახლა გუნდის ტექნიკური დირექტორი, სერბი ველიმირ ზაიეცი წვრთნის, რომელიც გუნდიდან ჰარი რედნაპის წასვლის შემდეგ ითავსებს მენეჯერობას, ოღონდაც ამ საქმეს დროებითად მიიჩნევს და დირექტორად მაშინ დაბრუნდება, როცა კლუბს ახალი მენეჯერი ეყოლება.

კუმანი ჯერ არც ჰოს ამბობს და არც არას, ის ახლა ზაფხულამდე საკუთარ ვილაში ისვენებს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# კოული აქეთ ბრაზობს
## ეშლი არსენალიდან წავა

სკანდალში გახვეულმა ეშლი კოულმა განაცხადა, რომ რადგან პრემიერლიგის კომისიამ დამნაშავედ სცნო ჟოზე მაურინიუსთან საიდუმლო მოლაპარაკებებში, ეს იმას ნიშნავს, რომ მან „არსენალი“ უნდა დატოვოს.

ინგლისის საუკეთესო განაპირა მცველმა, რომელიც იმაშია მხილებული რომ თავისი კლუბის, „არსენალის“ გვერდის ავლით გააბა მოლაპარაკება „ჩელსისთან“, თქვა, რომ აღარასოდეს განაახლებს კონტრაქტს „მეთოფეებთან“ და კლუბს 2007 წლის ივნისში დატოვებს თავისუფალი აგენტის სტატუსით.

ეს კოულისა და მისი აგენტის, ჯონათან ბარნეტის გეგმაა.

„არსენალის“ თავმჯდომარემ, პიტერ ჰილ-ვუდმა კი თქვა, რომ ეშლი კოულის საქმე რაც შეიძლება მალე უნდა დაბოლოვდეს.

ჰილ-ვუდმა განაცხადა: „ეშლისთვისაც და „არსენალისთვისაც“ კარგია, რომ ეს საქმე მალე მოთავდეს. მერე მოქმედება შეგვეძლება“.

პრემიერლიგის კომისია 12 დღეში გამოაქვეყნებს განაჩენს, მანამდე კი მაურინიუსა და კოულის ფორმალური გამოძახილს ელის.

**ირაკლი გამყრელიძე**



ეშლი კოული ჯერჯერობით აგენტის პირით ლაპარაკობს

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. დღეს





დორინელ მუნტიანუ ვიქტორ პიცურკას ნაკრებში ყველაზე „უხუცესია“

## პიცურკამ რუმინეთი მაგრად დააქველა

### ნაკრებიც ხელს გიქნევს, პატრიკ?!

I ჯგუფი

**სომხეთი — ანდორა**
**ჩეხეთი — ფინეთი**
**რუმინეთი — ჰოლანდია**

**დღეს** ბუქარესტში ერთმანეთს ჯგუფის ლიდერები ხვდებიან. სატურნირო ცხრილს სათავეში წაუგებელი და ათქულიანი ჰოლანდია უდგას, თან „ნარინჯისფერებს“ დღევანდელ მეტოქეზე ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული. ათი ქულა მოუქუჩებია რუმინეთსაც და სამუნდიალო მიზნის მისაღწევად შინაურ სარბიელზე დაწინაურებული ჰოლანდიელების ძლევას შეეცდება.

ამიტომაცაა, რუმინელთა მწვრთნელი ვიქტორ პიცურკა ბუქარესტულ მატჩს უდიდეს მნიშვნელობას რომ ანიჭებს: „შაბათის შეხვედრაზე ჩვენი მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის ბედი წყდება, ჰოლანდია აუცილებლად უნდა დავამარცხოთ. მჯერა, საამსაქმოდ ნაკრებში დიდი ხნის შემდეგ დაბრუნებული ფეხბურთელები ლომის წილს გაიღებენ“ — ამბობს პიცურკა. დაბრუნებულ მოთამაშეებში კი რუმინელთა მესაჭემ ტრავმამოშუშებული კრისტიან კივუ და ერთხანს ეროვნული გუნდიდან მოკვეთილი ვეტერანები, კოზმინ კონტრა და ვიორელ მოლდოვანი იგულისხმა.

ვერაფრით შეეშველება თავისიანებს ასევე ვეტერანი მეკარე ბოგდან სტელია, რომელსაც მწვრთნელი სათამაშო ფორმას უწუნებს და მის ადგილს აიაქსელ ბოგდან ლობონტს ანდობს. სამაგიეროდ, სასტარტოში აქვს ადგილი დაჯავშნული ბუქარესტის „სტიაუას“ 37 წლის ნახევარმცველ დორინელ მუნტიანუს, რომლისთვისაც საშაბათო მატჩი კარიერაში 121-ე სანაკრებო იქნება. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ჰოლანდია-მაკედონიის შესარჩევი მატჩებისთვის გამოძახებული 22 ფეხბურთელიდან პიცურკას განკარგულებაში ცხრა ლეგიონერია, დარჩენილი ცამეტიდან კი 7 ბუქარესტის „სტიაუას“ მოთამაშეა.

მარკო ვან ბასტენი, ჰოლანდიელთა მწვრთნელი კი ბუქარესტს სამი დებიუტანტით და გამარჯვების იმედით ესტუმრა. აიაქსელები — რაიან ბაბელი და ჰედვიგ მადურო, ასევე ალკმაარელი მარტეინ მეერდინკი პირველად იწვიეს ქვეყნის მთავარ გუნდში, თუმც ნაკლებ სავარაუდოა, რომ მათ დღეს თამაშის შესაძლებლობა მიეცემათ.

ნაკრებს მიღმა დარჩნენ ედგარ დავიდსი, რომელსაც იტალიურ „ინტერში“ სათამაშო პრაქტიკა აკლია, ფეიენოორდელი რომეო კასტელენი და აიაქსელი ნაიჯელ დე იონგი. ვან ბასტენი მოისაკლისებს ტრავმირებულ როი მაკაისაც, მაგრამ მისი შემცვლელის მოძებნა ჰოლანდიელთა ახალგაზრდა მწვრთნელს ნამდვილად არ უნდა გაუჭირდეს, რადგან მომჯობინდნენ რუუდ ვან ნისტელროოი და არიენ რობენი, გოლის იშტაზეა ახალგაზრდა დირკ კუიტიც.

ალბათ, შეამჩნევდით, რომ არსად გვიხსენებია პატრიკ კლუივერტი. საქმე ისაა; რომ „ნიუკასლის“ ფორვარდსა და მარკო ვან ბასტენს ურთიერთობა გაუფუჭდათ. ინგლისში ფეხვერმოკიდებულ კლუივერტს ვან ბასტენმა ალმაცერად დაუწყო ყურება და აი, შედეგიც, სანაკრებოდ არ გამოიძახა. თუმც პატრიკი ფარხმალს არ ყრის და ირწმუნება, საკუთარ ძალას „ნიუკასლსაც“ ვაჩვენებ და მარკო ვან ბასტენსაცო.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში ჰელსინკში მესამე-მეოთხეადგილოსნები ხვდებიან ერთმანეთს. თანაბარქულიან ფინეთსა და ჩეხეთს შორის წინასამატჩო უპირატესობა სტუმართა მხარესაა — ჩეხებს 9 ქულა 4 მატჩიდან შეუგროვებიათ.

ფინელი მაყურებელი ვერ ნახავს ჩეხთა ახმახ ფორვარდ იან კოლერს, რომელსაც ამ უქმეებზე ბუნდესლიგის მორიგ ტურში ბარძაყის კუნთი დაუზიანდა. მასპინძელთა მწვრთნელი ანტი მუურინენს კი ის აღელვებს, რომ დისკვალიფიკაციის გამო ნახევარმცველი მიკა ვაირინენი არ ეყოლება, ხოლო „ოსერის“ ტეემუ ტაინიოს საზარდული ისე ასტკივებია, ჰელსინკში არც კი ჩასულა.

**სოსო ქოტორაიშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 4 | 3 | 1 | 0 | 10:3 | 10 |
| რუმინეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:5 | 10 |
| ფინეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 10:6 | 9 |
| ჩეხეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 9 |
| მაკედონია | 6 | 1 | 2 | 3 | 6:7 | 5 |
| ანდორა | 5 | 1 | 1 | 3 | 2:11 | 4 |
| სომხეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:12 | 1 |

შემდეგი ტური: 30 მარტი

**ანდორა — ჩეხეთი**
**მაკედონია — რუმინეთი**
**ჰოლანდია — სომხეთი**

## ესაა დომენეკის გუნდი?

### ფრანგებს უკვე ამასხარავებენ

IV ჯგუფი

**ისრაელი — ირლანდია**
**საფრანგეთი — შვეიცარია**

**საფრანგეთის** ნაკრები პარიზში სოლიდურ შვეიცარიას მასპინძლობს და რვა თვეში პირველ საშინაო გამარჯვებას ეშურება.

დიახ, შეიძლება საკმაოდ უცნაურად ჟღერს, მაგრამ ფაქტია: ფრანგებმა სტუმრად ბოლო ორი შეხვედრა მოიგეს, საკუთარ „სტად დე ფრანსზე“ კი ზედიზედ ხუთჯერ ითამაშეს ფრედ.

ამ თუ სხვა მიზეზთა გამო, მეოთხე შესარჩევი ჯგუფის ცხრილში დიდი სიმჭიდროვეა, მაგრამ როგორც პრესკონფერენციაზე გამოჩნდა, „ლურჯების“ მწვრთნელ რაიმონ დომენეკს ამ სიმჭიდროვის შიში არ აქვს.

„ახლანდელი მატჩები რასაკვირველია, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მათზე სამკვდრო-სასიცოცხლოს ნამდვილად ვერ ვიტყვი. რომ წავაგოთ, ცხადია, ცუდ მდგომარეობაში ამოვყობთ თავს, თუმცა, გამარჯვების შემთხვევაში თავი ჯერ კიდევ არ გვექნება ქუდში. ჩემი პოზიცია ყოველივე ამასთან დაკავშირებით საბოლოოდ ნათელი რომ იყოს, ასე მოგახსენებთ: ჩემთვის ყველაფერზე მთავარი მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრაა და თუ ამ ამოცანას ოთხი ფრე გადამიწყვეტს, მაშინ სწორედ ოთხ ფრეს მივესალმები.“

ფრანგულ პრესაში წერენ, რომ დღეს, შვეიცარიელებთან გამარჯვება „ლურჯებისთვის“ უპირველეს ყოვლისა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ იგი მათ ოთხშაბათს, ისრაელის ნაკრებთან დაძაბული მატჩისთვის მომზადებაში დაეხმარება. რატომ? თურმე ნუ იტყვით და ისრაელში მტკიცედ სწამთ, რომ ფრანგთა დასამარცხებლად ყველაზე მოხერხებული დრო სწორედ ახლაა. შეგახსენებთ, რომ ისრაელს საფრანგეთისთვის აქამდე ერთხელ, 1993 წელს, სწორედ პარიზში მოუგია და იმ მატჩის გამო ჟერარ ულიეს გუნდი მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის მიღმა დარჩა.

ერთი სიტყვით, საფრანგეთში ისრაელის კომპლექსი ნამდვილად არსებობს, თუმცა ჩვენი დღევანდელი ანონსის თემა შვეიცარიასთან მატჩია, მაგრამ რად გინდა:

„ვგრძნობ, რომ ამ შეხვედრაში რაღაც დიდებულს ჩავიდენთ — ამბობს შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელი იაკობ კუნი — ეჭვი არ მეპარება, რომ დომენეკს კარგი გუნდი ჰყავს, მაგრამ ნუ დაავიწყდებათ ისიც, თუ რა ვუქენით მათ ჩვენი შარშანდელი შეხვედრის 75 წუთის განმავლობაში. მწამს, რომ მეც და დომენეკს ახლა თანაბარი ძალის გუნდები გვყავს.“

ასე და ამგვარად, თავადაც ხედავთ, თუ რა განწყობაც აქვთ მატჩის წინ ორივე გუნდის მწვრთნელს. მოედანზე რა გითხრათ და პრესკონფერენციებზე საფრანგეთის ნაკრები საკმაოდ იოლად სახსენებელ გუნდად კი ქცეულა.

დანარჩენი ვნახოთ...



რაიმონ დომენეკს ჯგუფში შექმნილი ვითარება, რა თქმა უნდა, აღელვებს

**ბაჩუნა ბედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 4 | 2 | 2 | 0 | 6:1 | 8 |
| საფრანგეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:0 | 8 |
| ისრაელი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 8 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 2 | 0 | 9:3 | 5 |
| კვიპროსი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:11 | 1 |
| ფარერები | 4 | 0 | 1 | 3 | 2:12 | 1 |

შემდეგი ტური: 30 მარტი

**შვეიცარია — კვიპროსი**
**ისრაელი — საფრანგეთი**

## 22 წლის იტალია

### მარჩელო ლიპის ახალი ტრიო



მარჩელო ლიპი ანტონიო კასანოს: ხომ გამიმართლებ ანტონიო?

V ჯგუფი

**იტალია — შოტლანდია**

**დაახლოებით** 10 წლის წინ თუ გადავინაცვლებთ, ვნახავთ, რომ უოლტერ სმიტი და მარჩელო ლიპი აქამდეც შეხვედრიან ერთმანეთს, ოღონდ საკლუბო დონეზე — 1995-96 წლების სეზონის ჩემპიონთა ლიგაში, ლიპის „იუვენტუსმა“ სმიტის „რეინჯერსი“ ორი თამაშის ჯამში 8:1 გაანადგურა.

სანაკრებო კი სხვაა. იტალია და შოტლანდია ერთმანეთს 6-ჯერ შეყრიან. აქედან „სკუადრა ატურას“ ოთხი მატჩი აქვს მოგებული, ერთი ფრედ ნათამაშები და ერთიც წაგებული.

მილანის „სან სიროზე“ — ეს მატჩი სწორედ აქ გაიმართება — ლიპის გუნდს სატურნირო მდგომარეობა წაბორძიკების საშუალებას არ აძლევს და თავად სპეციალისტიც მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს. მას ტრავმირებული ალესანდრო ნესტა და ვინჩენცო მონტელა არ ეყოლება, ხოლო ჯანლუკა ძამბროტა დისკვალიფიცირებულია სათუოა ფრანჩესკო ტოტის თამაში, მაგრამ ექიმები იმედს იტოვებენ, რომ „რომას“ კაპიტანს მწყობრში ჩააყენებენ. შოტლანდიელებს კი ეგებ ორი ფორვარდი — პოლ დიკოვი და ჯეიმს მაკფადენი დააკლდნენ.

როგორც ლიპი ამბობს, „სკუადრა ატურას“ გულშემატკივრები საინტერესო შემტევი ტრიოს — ტოტი-კასანო-ჯილარდინო — მოლოდინში იქნებიან. დონ მარჩელო განსაკუთრებით, კასანოს ზეთამაშს ელის. ეს უკანასკნელი მან ნაკრებში რიგი მიზეზთა გამო პირველად გამოიძახა და მისდამი საქებარი სიტყვებიც არ დაიშურა. კასანოთი ჯანლუიჯი ბუფონიც აღფრთოვანებულია. ბუფონმა, რომ იტყვიან, შეკრებით ისარგებლა და კასანოს სიტყვაც გადაუკრა — „იუვენტუსში“ ხომ არ გადმოხვიდოდიო.

„ანტონიო დიდებული და ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია. კასანო „იუვენტუსისთვის“ ზედგამოჭრილია და ეს თავად მის ზრდასაც შეუწყობდა ხელს. ჩვენთან ერთად მას, „ოქროს ბურთის“ მოგება შეეძლება“ — განაცხადა ბუფონმა.

იტალიელთა მეორე თავდამსხმელს, 22 წლის ალბერტო ჯილარდინოს კი ამაღლებული განწყობა აქვს და სქოთებთან მატჩსაც ოპტიმისტურად უყურებს. შეგახსენებთ, რომ „პარმას“ ფორვარდმა გასულ უქმეებზე სერია A-ში თავისი 50-ე გოლი გაიტანა.

ალბერტო ჯილარდინო: „ძალიან მიხარია, რომ ისევ ნაკრებში ვარ. საოცარი განწყობაა, როდესაც ასეთი ფეხბურთელების და დიდებული მწვრთნელის გვერდით ხარ. მატჩს მოუთმენლად ველოდები, კასანოსთან და ტოტისთან ერთად თამაში ხომ უდიდესი სიამოვნებაა. შოტლანდიელები აუცილებლად უნდა დავამარცხოთ, რომ გერმანიისკენ მიმავალი გზა გავიადვილოთ. ხოლო შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებაზეც დავიწყებთ ფიქრს. ოც წელზე მეტია, იტალიელი ხალხი ნაკრების ტრიუმფს ელის“.

იტალიის ნაკრები დღეს სავარაუდოდ, ასეთი შემადგენლობით ითამაშებს: *ბუფონი; ბონერა, კანავარო, მატერაცი, კიელინი; კამორანეზი, გატუზო, პირლო; ტოტი, კასანო, ჯილარდინო*

**გიორგი კაკაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| ნორვეგია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| სლოვენია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| ბელარუსი | 3 | 1 | 1 | 1 | 8:5 | 4 |
| შოტლანდია | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| მოლდოვა | 4 | 0 | 1 | 3 | 1:9 | 1 |

შემდეგი ტური: 30 მარტი

**მოლდოვა — ნორვეგია**
**სლოვენია — ბელარუსი**

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. დღეს

**VI ჯგუფი**

**უელსი — ავსტრია**
**ინგლისი — ჩრდ. ირლანდია**
**პოლონეთი — აზერბაიჯანი**

## მაგას არ შეგარჩენ, ლორი!

### ჯერარდის ცრემლები სანჩესის სინდისზეა

**ინგლისის** ნაკრებისა და „ლივერპულის“ ნახევარმცველი სტივენ ჯერარდი რევანშისთვის ემზადება, ხოლო თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ.

1988 წელს ინგლისის ასოციაციის თასის ფინალში „უიმბლდონმა“ „ლივერპულს“ ლორი სანჩესის გოლით მოუგო. ჯერარდი კი მაშინ შვიდი წლისა იყო და „ლივერპულის“ მარცხმაც გულამოსკვნით აატირა.

დღეს ინგლისის ნაკრები იმ ჩრდილოეთ ირლანდიას მასპინძლობს, რომლის მწვრთნელიც ლორი სანჩესია და სტივენ ჯერარდიც სამაგიეროს გადახდას აპირებს.

ინგლისელებს ჩრდილოირლანდიელებთან ბოლოს 1972 წელს, „უემბლიზე“ წაუგიათ 0:1. მას შემდეგ ჩრდილოელებს მოგება კი არა, გოლის გატანაც კი არ ღირსებიათ. მასპინძლები დღესაც იოლ გამარჯვებას ვარაუდობენ.

„ჩვენი გუნდის შემადგენლობას თუ გადავხედავთ, მოგება არ უნდა გაგვიჭირდეს“ — თქვა ინგლისის ნაკრების კაპიტანმა დევიდ ბექემმა, ხოლო ჯო კოულმა განაცხადა: „მნიშვნელოვანია ის, რომ კარგ ფორმაში ვართ და შევეცდებით, კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ თამაში“.

ლორი სანჩესმა ნაკრები ერთი წლის წინ ჩაიბარა. მაშინდელ ჩრდილოეთ ირლანდიას 13-მატჩიანი მოუგებელი სერია ჰქონდა და კიდევ — ზედიზედ 14 შეხვედრაში




სტივენ ჯერარდი ჩრდილოირლანდიელებს რევანშით დაემუქრა

გოლი არ გაეტანა. სანჩესის სადებიუტო მატჩში ჩრდილოირლანდიელები ნორვეგიასთან 1:4 დამარცხდნენ და წაგების მიუხედავად, ხარობდნენ, რადგან გოლი გაიტანეს.

„ინგლისელებთან მოგება მინდა — ამბობს ლორი სანჩესი — მაგრამ თავი რომ გავწიროთ და ვიმარჯვოთ, მომდევნო ოთხშაბათს კი პოლონეთთან წავაგოთ, მეორე ადგილზე გასვლის შანსს საბოლოოდ დავკარგავთ“.

ერთი სიტყვით, სწორედ სანჩესზეა ნათქვამი, ოცნებას კაცი არ მოუკლავსო.

უელსის ნაკრები ჯონ ტოშაკმა მარკ ჰიუზისგან შარშან ჩაიბარა.

დღეს უელსელები „მილენიუმზე“ ავსტრიას მასპინძლობენ და საპლეიოფო შანსის შესანარჩუნებლად უცილობელი მოგება სჭირდებათ. ეს პირველი შესარჩევი მატჩია ტოშაკისთვის და ის, ცხადია ნერვიულობს.

„დეპორტივოს“, „სოსიედადისა“ და მადრიდის „რეალის“ ყოფილი მწვრთნელი ამბობს: „ეს პირველადაა ჩემს ცხოვრებაში, ასეთ ვითარებაში არასდროს ვყოფილვარ, მით უმეტეს, ჩემი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან მატჩში. რა თქმა უნდა, ვნერვიულობ, რადგან ამ შესარჩევ ეტაპზე უელსს თამაში ჯერ არ მოუგია და ნავსი უნდა გავტეხოთ“.

უელსის ნაკრებმა აქამდე ოთხი შეხვედრა გამართა და მხოლოდ ორი ქულა მოაგროვა.

„ჩვენ რეალურად ვაფასებთ ვითარებას და ვიცით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა ძალიან ძნელია. შესაძლოა, ყველა დარჩენილი თამაში მოვიგოთ, მაგრამ მაინც ვერ მოვხვდეთ მომავალ მუნდიალზე, თუმც ვალდებულნი ვართ, ნებისმიერ მატჩში გამარჯვებისთვის ვიბრძოლოთ“ — განაგრძობს ტოშაკი.

ჯონ ტოშაკის ნაკრებში კაპიტანი მანჩესტერელი რაიან გიგზი იქნება, მაგრამ უცნაურია, რომ სავარაუდო ძირითად შემადგენლობაში რობერტ ერნშოუ არ ჩანს. „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ ფორვარდმა პრემიერლიგის ბოლო ტურში „ჩარლტონთან“ ხომ ჰეთ თრიქი შეასრულა.

ასეა თუ ისე, უელსელთა შემტევ ხაზზე დღეს გიგზი-ჰართსონი-ბელამის ტრიო დადგება.

**მაშა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 |
| პოლონეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:5 | 9 |
| ავსტრია | 4 | 1 | 2 | 1 | 8:8 | 5 |
| ჩრდ. ირლანდია | 4 | 0 | 3 | 1 | 5:8 | 3 |
| უელსი | 4 | 0 | 2 | 2 | 5:8 | 2 |
| აზერბაიჯანი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |

**შემდეგი ტური: 30 მარტი**

**პოლონეთი — ჩრდ. ირლანდია**
**ავსტრია — უელსი**
**ინგლისი — აზერბაიჯანი**

**VIII ჯგუფი**

**ბულგარეთი — შვედეთი**
**ხორვატია — ისლანდია**

## ხრისტოს ახალგაზრდა ბულგარეთი

### ლიუნგბერგმა ქალი ვერა, მაგრამ ტკბილეული კი მიირთვა

**ბულგარეთის** ნაკრების ახალმა თავკაცმა ხრისტო სტოიჩკოვმა. თავისსავე დამკვიდრებულ ტრადიციას არ უღალატა და შვედეთთან მატჩისთვის ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელები გამოიძახა.

დღეს სკანდინაველებს სავარაუდოდ, 20 წლის კავდარ იანკოვის და ბლაგოი გეორგიევის დუეტი შეუტევს. ამ წყვილმა ხორვატიასთან შეხვედრაში უკვე გამოიჩინა თავი და ახლაც იგივეს შეეცდება.

თქმა არ უნდა, წარმატებისთვის იბრძოლებენ შვედებიც, რომლებიც ამჟამად ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერები არიან, მაგრამ ბულგარეთსა და ხორვატიას მათზე თამაშით ნაკლები აქვთ. ისინი ამბობენ, რომ ამ შეხვედრაში დამარცხება დაუშვებელია.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანი მატჩია და აუცილებლად უნდა მოვიგოთ. მართალია, რამდენიმე ფეხბურთელი ვერ ითამაშებს, მაგრამ მიზნის მიღწევა მაინც უნდა შევძლოთ“ — აღნიშნა ბულგარელთა ნახევარმცველმა სტოიჩო გრეგორიევმა.

ახლა ის ვთქვათ, რომ ბულგარელებს სტილიან და მარტინ პეტროვები დისკვალიფიკაციის გამო დააკლდებათ, ხოლო ვალერი ბოჟინოვი და მარიან ხრისტოვი ტრავმირებულნი არიან.



REUTERS ხოფთიდან

ამისთანა ქალს ფრედი ლიუნგბერგი შეხედავდა აბა, რა იქნებოდა

შვედეთის ნაკრები კი სოფიას, თუ ჰენრიკ ლარსონს არ ჩავთვლით, უძლიერესი შემადგენლობით ეწვია — ლარს ლაგერბეკის და ტომი სოდერბერგის გუნდში ლიდერად არსენალელი ფრედი ლიუნგბერგი მიიჩნევა და ალბათ ამიტომაცაა, ლიუნგბერგს ბულგარეთში გამორჩეულად რომ შეხვდნენ — ფოტოზე, რომელსაც აქვე ხედავთ, ამ მკერდსავსე ლამაზმანისგან მირთმეული განთქმული ბულგარული ტკბილეული შვედმა მადიანად მიირთვა.

და ერთიც: მასპინძლებს დღეს რევანშიც სწყურიათ, შარშანდელ ევრო 2004-ზე განცდილი 0:5-სთვის.

**გიორგი ძაძამაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 14:2 | 9 |
| ბულგარეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:4 | 7 |
| ხორვატია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| უნგრეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:8 | 6 |
| ისლანდია | 4 | 0 | 1 | 3 | 4:10 | 1 |
| მალტა | 4 | 0 | 1 | 3 | 1:13 | 1 |

**შემდეგი ტური: 30 მარტი**

**ხორვატია — მალტა**
**უნგრეთი — ბულგარეთი**

**III ჯგუფი**

**ესტონეთი — სლოვაკეთი**
**ლიხტენშტაინი — რუსეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 5 | 4 | 1 | 0 | 20:3 | 13 |
| სლოვაკეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 15:3 | 10 |
| რუსეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:8 | 7 |
| ლატვია | 5 | 2 | 1 | 2 | 10:12 | 7 |
| ესტონეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:11 | 7 |
| ლიხტენშტაინი | 5 | 1 | 1 | 3 | 8:14 | 4 |
| ლუქსემბურგი | 6 | 0 | 0 | 6 | 4:24 | 0 |

**შემდეგი ტური: 30 მარტი**

**ესტონეთი — რუსეთი**
**ლატვია — ლუქსემბურგი**
**სლოვაკეთი — პორტუგალია**

**VII ჯგუფი**

**ბელგია — ბოსნია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:0 | 10 |
| ესპანეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:1 | 8 |
| ლიტვა | 4 | 2 | 2 | 0 | 6:1 | 8 |
| ბოსნია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ბელგია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| სან მარინო | 5 | 0 | 0 | 5 | 0:18 | 0 |

**შემდეგი ტური: 30 მარტი**

**ბოსნია — ლიტვა**
**სან მარინო — ბელგია**
**სერბეთი — ესპანეთი**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

# ჩვენ თავდაჯერებულნი ვიქნებით პირველობას აზრი არ აქვს

**XII ტური. დღეს**

ჩილე — ურუგვაი
ბოლივია — არგენტინა
ვენესუელა — კოლუმბია
ბრაზილია — პერუ
ეკვადორი — პარაგვაი

*ამ უქმეებზე ევროპელთა მსგავსად გერმანულ მუნდიალზე მოსახვედრად სამხრეთ ამერიკელებიც იბრძოლებან. უქმეებზე ერთიან, სამხრეთულ ჯგუფში მეთორმეტე, დამდეგ ოთხშაბათს კი მე-13 ტურის მატჩები გაიმართება*




კაფუ და რონალდინიო, თანაგუნდელთა მსგავსად პერუელებთან მატჩისთვის სერიოზულად ემზადებიან

**ბრაზილია** ამ ტურში პერუს მასპინძლობს, არგენტინა კი ბოლივიაში ჩადის, სადაც, იქაურთა წესის თუ ხრიკის მიხედვით, ზღვის დონიდან 3 600 მეტრის სიმაღლეზე მოუწევს თამაში. ბოლივიელები ცხრილში ბოლო ადგილზე კი არიან, მაგრამ იმ სიმაღლეზე თამაში ყველას რომ უჭირს, საქვეყნოდ ცნობილი ამბავია. ერთი სიტყვით, იმის თქმა გვსურს, რომ ამ ტურის მერე შესაძლოა, ლიდერი შეიცვალოს.

თუმცა, მეორეს მხრივ, ლიდერის შეცვლა ბევრს არაფერს ნიშნავს. მოგეხსენებათ, სამხრეთამერიკული ჯგუფიდან მსოფლიოს ჩემპიონატზე ოთხი გუნდი პირდაპირ გადის, მეხუთეადგილოსანი კი ოკეანეთის საუკეთესო გუნდს პლეიოფში შეხვდება. ამდენად, ვინ გავა პირველზე და ვინ მეოთხეზე, პრაქტიკული თვალსაზრისით, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

პერუსთან მატჩის წინ კი ბრაზილიელთა მილანელმა ნახევარმცველმა კაკამ თქვა, იმედი მაქვს ამ თამაშსაც მოვიგებთ და იმ კვირაში ურუგვაისაც დავამარცხებთ, რაც თავდაჯერებულობას შეგვმატებსო.

თავდაჯერებულობა კი ბრაზილიას ნამდვილად სჭირდება, რაკი ბოლო ორ შესარჩევ მატჩში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებმა ოდენ ერთი ქულა აიღეს — კოლუმბიასთან უგოლოდ გაეყარნენ, ეკვადორთან კი 0:1 დამარცხდნენ. და თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ წინა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბრაზილიელებმა მხოლოდ ბოლო, მეთვრამეტე ტურში გაინაღდეს მუნდიალზე მოხვედრა, უფრო თვალსაჩინო შეიქნება, თუ რაოდენი მნიშვნელობა აქვს მათთვის თავდაჯერებულობის დაბრუნებას.

არგენტინელები კი, მათი ბანაკიდან ისეთი ხმები გამოდის, ფრეზეც ყაბულს არიან და ბოლივიაში მეტისმეტად ახალგაზრდული შემადგენლობით მიემგზავრებიან. არგენტინელთა ბოლივიაში ბოლო სტუმრობა ფრედ 3:3 დასრულდა. ახალგაზრდულ შემადგენლობაზე კი მწვრთნელმა ხოსე პეკერმანმა თქვა, ამათ ენთუზიაზმს და უშიშრობას რომ ვუყურებ, ვფიქრობ, სწორადაც ვიქცევი, ასეთ საპასუხისმგებლო მატჩს რომ ვანდობო.

ბოლივიელები ახალი მწვრთნელით დაუხვდებიან მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს — ოვიდიო მესა მესამე მწვრთნელია, ნაკრებს ამ შესარჩევ ციკლში რომ დამოძღვრავს.

ეკვადორი და პარაგვაი კვირას კიტოში ხვდებიან ერთმანეთს, ურუგვაი სანტიაგოში სტუმრობს ჩილეს, ხოლო ვენესუელა მეზობელ კოლუმბიას მარაკაიბოში დაუხვდება.

ნაკრებთა შემადგენლობებს თუ გადავხედავთ, პარაგვაელებს გვარიანი პრობლემა უნდა ჰქონდეთ, რაკი ბუნდესლიგაში მოთამაშე ორი ლეგიონერი აკლიათ — ნელსონ აედო და როკე სანტა კრუზი მატჩს ტრავმების გამო გამოტოვებენ.

მწვრთნელი შეიცვალა ურუგვაიმაც. ხუან რამონ კარასკოს ნაცვლად, ვინაც ვენესუელასთან საშინაო მარცხის მერე მოხსნეს, ნაკრებს ყოფილი მეკარე ხორხე ფოსატი უდგას თავში. ურუგვაელებს დაუბრუნდათ „ვილიარეალის" ვარსკვლავი დიეგო ფორლანი, რომელიც შარშან, სათადარიგოთა სკამზე რატომ დამსვითო, გაბრაზდა და ნაკრებში თამაში იუარა. დაცვაში კი ურუგვაელთა უმთავრესი იმედი ვეტერანი იუვენტუსელი პაოლო მონტეროა.

ყველაზე რთულად კი საქმე ვენესუელას აქვს. ნაკრებს მთავარი კაცი, ნახევარმცველი ხუან არანგო დააკლდება. ის წინა კვირაში მომხდარი ცნობილი შეჯახებისას მძიმედ დაშავდა — გეხსომებათ, მალიორკელს სევილიელმა ხავი ნავარომ თავში ფეხი ისე ჩაარტყა, ლამის საიქიოს გაისტუმრა. გარდა ამისა, ვენესუელელებს მწვრთნელის, რიჩარდ საესის შვილი, რიკარდო საესიც გამოაკლდათ. ტრავმები აქვთ ლუის ვალენილიას და ხორხე როხასს, კაპიტანი ლუის ვერა კი დისკვალიფიცირებულია.

„კიდევ ვინმე რომ დაშავდეს, აღარც ვიცი ვინ ვათამაშო" — დაიჩივლა რიჩარდ საესმა.

პერუს კი თავდამსხმელი ხოსე პაულო გერერო არ ეყოლება, რაც ბრაზილიასთან ისედაც უმძიმეს მატჩში მათთვის დიდი დანაკლისია. მიუნხენის „ბაიერნის" ახალგაზრდა ფორვარდი ამ სეზონში მხოლოდ სამჯერ იყო სასტარტო შემადგენლობაში, რვაჯერ შეცვლაზე შევიდა და ექვსი გოლის გატანა მოახერხა.

ბოლოს კი არგენტინელთა და ბრაზილიელთა სავარაუდო სასტარტო შემადგენლობებს გაგაცნობთ.

*არგენტინა:* აბონდანსიერი; ბურდისო, გ. როდრიგესი, მილიტო; სკალონი, დუშერი, კამბიასო, კ. როდრიგესი, მ. როდრიგესი; გალეტი, ფიგეროა.

*ბრაზილია:* დიდა; კაფუ, ლუსიო, ჟუანი, რობერტო კარლოსი; ემერსონი, ზე რობერტო, რონალდინიო, კაკა; რონალდო, რობინიო.

**ბოტე ბებელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 11 | 6 | 4 | 1 | 21:11 | 22 |
| ბრაზილია | 11 | 5 | 5 | 1 | 19:11 | 20 |
| ეკვადორი | 11 | 5 | 1 | 5 | 12:11 | 16 |
| პარაგვაი | 11 | 4 | 4 | 3 | 12:11 | 16 |
| ურუგვაი | 11 | 4 | 2 | 5 | 16:23 | 14 |
| კოლუმბია | 11 | 3 | 4 | 4 | 12:11 | 13 |
| პერუ | 11 | 3 | 4 | 4 | 13:13 | 13 |
| ჩილე | 11 | 3 | 4 | 4 | 10:11 | 13 |
| ვენესუელა | 11 | 4 | 1 | 6 | 13:17 | 13 |
| ბოლივია | 11 | 3 | 1 | 7 | 11:20 | 10 |

**XIII ტური: 30 მარტი**

ბოლივია — ვენესუელა
ურუგვაი — ბრაზილია
პერუ — ეკვადორი
პარაგვაი — ჩილე
არგენტინა — კოლუმბია

## ფეხბურთის რუკასთან

**ფრანგული** „ლიონის" პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამ გულშემატკივრები და ფეხბურთელები დაამშვიდა, პოლ ლე გუენი მომავალ სეზონშიაც გუნდის თავკაცი იქნებაო. „დარწმუნებული ვარ, რომ ლე გუენი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი კაცია ჩვენთვის, „ლიონში" დარჩება. მასთან მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია" — განმარტა ოლამ.

**იტალიური** „იუვენტუსის" მეკარე ჯანლუიჯი ბუფონმა განაცხადა, ტურინიდან არსად წასვლას არ ვაპირებ. „მეკარე ალბათ „რეალის" უკანასკნელი პრობლემაა, ამიტომ ვერ ვხვდები, რატომ დაიწყეს მადრიდელებმა აქედან. ყოველ შემთხვევაში, მე „იუვენტუსის" გარდა ახლა არაფერზე არ ვფიქრობ" — დასძინა ბუფონმა.

**არგენტინელი** ფორვარდი კლაუდიო კანიჯა, რომელიც ფეხბურთიდან რამდენიმე კვირის წინ წავიდა, უკან დაბრუნებაზე ფიქრობს. „ახლა მივხვდი, რომ ნაადრევი გადაწყვეტილება მივიღე. ჯერ კიდევ მინდა თამაში და ალბათ, შოტლანდიის რომელიმე კლუბს შევუერთდები. იმედია, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც მოვხვდები" — აღნიშნა 38 წლის კანიჯამ.

**იტალიური** „მილანის" პორტუგალიელი ლეგიონერი მანუელ რუი კოშტა, მიუხედავად იმისა, რომ გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დიდი ხანია დაკარგა, კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებს. თავად ფეხბურთელის თქმით, მხარეები ახალ შეთანხმებას უახლოეს დღეებში გააფორმებენ, რომლის თანამადაც მანუელ რუი კოშტა „მილანის" საკუთრება 2007 წლამდე იქნება.

**ჩეხმა** ნახევარმცველმა, ტომაშ როსიცკიმ დაადასტურა ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ ლონდონური „ტოტენჰემი" მისით დაინტერესებულია. „ლონდონელებს მართლაც აქვთ ჩემი შეძენის სურვილი. ისიც ვიცი, რომ მთავარი პრობლემა თანხაა. ჩემის მხრიდან ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ინგლისში თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი" — განმარტა როსიცკიმ.

**ბრიტანული** პრესის ცნობით, ლონდონურმა „ჩელსიმ" შონ რაიტ-ფილიპსის შეძენა უკვე გაინაღდა და რომან აბრამოვიჩს საამსაქმოდ 20 მილიონი გირვანქაც გადაუდია. გავრცელებული ინფორმაციით, ეს თანხა „მანჩესტერ სიტის" ბოსებს სავსებით აკმაყოფილებთ.

**იტალიის** ნაკრებისა და „კალიარის" გარემარბმა მაურო ესპოზიტომ აღნიშნა, რომ მზადაა, მომავალი ზაფხულიდან „რომას" შეუერთდეს. „თუ სერიოზულ წინადადებას მივიღებ, „სტადიო ოლიმპიკოზე" დაუფიქრებლად გადავალ. მართალია, „იუვენტუსის", „მილანის" ან „ინტერის" რიგებში თამაში ყველა ფეხბურთელის ოცნებაა, მაგრამ ვფიქრობ, რომ „რომა" მათზე არანაკლები გრანდია" — თქვა ესპოზიტომ.

**ინგლისური** „ლივერპული" მომავალ ზაფხულს „მანჩესტერ იუნაიტედისგან" საბოლოოდ გამოისყიდის სტივენ პაფს. 19 წლის ეს უნივერსალი ახალგაზრდა, სერ ალექს ფერგიუსონის სათამაშო სქემაში ვერ ჩაეწერა და უკვე გადაწყვეტილია, რომ „ოლდ ტრეფორდს" ზაფხულში დატოვებს.

**ჰოლანდიური** „პსვ ეინდჰოვენის" კაპიტანმა მარკ ვან ბომელმა უარყო ჭორები, თითქოს მისი „ბარსელონაში" გადასვლა უკვე გადაწყვეტილია. „კატალონიელებთან არანაირი კონტრაქტისთვის ხელი არ მომიწერია, ისევე, როგორც „ტოტენჰემთან" და დორტმუნდის „ბორუსიასთან". მოლაპარაკება გრძელდება და ვნახოთ, რა მოხდება" — თქვა 27 წლის ვან ბომელმა.

**იტალიური** „რომა" სპორტულმა დირექტორმა ფრანკო ბალდინიმ მოულოდნელად დატოვა. იგი ამ პოსტზე 1999 წლიდან მუშაობდა. ბალდინის კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია, მაგრამ ჭორებს თუ ვენდობით, კლუბის ხელმძღვანელობა მისი მუშაობით უკმაყოფილო იყო.

**ესპანური** „დეპორტივოს" მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ პოსტის დატოვება გადაიფიქრა. „მართალია, კლუბიდან წასვლა თითქმის გადაწყვეტილი მქონდა, მაგრამ ახლა გადავიფიქრე. იმედია, ჩემპიონთა ლიგაში ან უეფას თასზე მაინც მოვხვდებით და მეც გუნდთან მუშაობას სიამოვნებით გავაგრძელებ" — თქვა ირურეტამ.

**იტალიური** „ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ გულშემატკივრებს მოუწოდა, ფრანჩესკო ტოტიზე ოცნებას შეეშვან. „არა მგონია, ჩვენ მისი შეძენა შევძლოთ. რომაელებმა ჯერ თავადაც არ იციან, სურთ თუ არა ტოტის გუნდიდან გაშვება. თანაც, თუ მის გაყიდვას მაინც გადაწყვეტენ, არარეალურ თანხად. ამიტომ, ტოტიზე ფიქრი არ ღირს. ჩვენ უიმისოდაც შეგვიძლია დიდი წარმატებების მიღწევა" — დასძინა მორატიმ.

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. I ლიგა

**26 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 10 | ჩესტერფილდი-ტრანმერი | 2.6 | 3.3 | 2.4 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 16:00 | 11 | ჰალი-პორტ ვეილი | 1.35 | 4.5 | 7.0 | 1.03 | 1.13 | 2.73 |
| 16:00 | 12 | უენსდი-ტორკი | 1.4 | 4.0 | 7.0 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 16:00 | 13 | უოლსოლი-ოლდემი | 1.95 | 3.3 | 3.4 | 1.22 | 1.23 | 1.67 |

### ინგლისი. II ლიგა

